საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესიკ ქარცივაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.07.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 060/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ჯ.-ის /სიითიN/ მიმართ

ადვოკატის წარმომადგენელი: მ. ჭ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჯ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2022 წლის 20 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ჭ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჯ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 29 ივნისს, მასსა და ადვოკატ ლ. ჯ.-ს შორის გაფორმდა „საადვოკატო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმად ადვოკატ ლ. ჯ.-ს უნდა ეწარმოებინა სამოქალაქო საქმე. საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 700 აშშ. დოლარი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ჯ.-მა არ იმოქმედა კლიენტის მითითებების შესაბამისად, კერძოდ, არ მოამზადა სამოქალაქო სარჩელი და შესაბამისი ვადის დაცვით არ მიმართა საქალაქო სასამართლოს, რის გამოც, მოწინააღმდეგე მხარის სარჩელის საფუძველზე დააყადაღეს მ. ჭ.-ის უძრავი ქონება. ადვოკატმა ლ. ჯ.-მა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, კლიენტის მითითების საწინააღმდეგოდ მიმართა პროკურატურას. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს მისცა შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ არ მიმართა საქალაქო სასამართლოს, რაზეც ადვოკატისგან პასუხად მიიღო შემდეგი: ,,პასუხისმგებელი ის არის ამ საქმეზე და მასზე უკეთ იცის საქმე".

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ჯ.-მა უკანონოდ, მისი თანხმობის გარეშე გაასაჯაროვა კლიენტის პირადი ინფორმაცია, კერძოდ, პროკურატურასთან გადაიღო ვიდეო და გამოაქვეყნა ის სოციალურ ქსელში. ვიდეოში ნახსენებია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი არის მრავალშვილიანი დედა, მარჩენალდაკარგული, ვეტერანის სტატუსით. ამასთან, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა განგებ დაამახინჯა ფაქტები და ვიდეოში მიუთითა, რომ მისმა კლიენტმა ხელშეკრულება დადო რუსეთის მოქალაქეებთან, მაშინ, როცა საჩივრის ავტორს ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა საქართველოს მოქალაქე ი. გ.-თან , რომელმაც შემდგომ უძრავი ქონება მიაქირავა რუსეთის მოქალაქეებს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არაკვალიფიციურად შეადგინა შესაგებელი, კერძოდ, შესაგებელში მიუთითა არასწორი ფაქტები და უთითებდა, რომ მოწინააღმდეგე მხარე იყო რუსი და აპელირებდა ეროვნებაზე, რაც დისკრიმინაციულია.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან შეწყვიტა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა ლ. ჯ.-თან და გადახდილი ჰონორარის დაბრუნების მიზნით, დასთან ერთად შეხვდა ადვოკატს საქალაქო სასამართლოს ეზოში. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისმა დამ ადვოკატს შეახსენა კლიენტის მატერიალური მდგომარეობა და უთხრა, რომ „მისი ოჯახი ვერ გაიხარებდა ობლებისთვის წართმეული ლუკმით". ადვოკატის მეუღლემ მათ გადაუღო ვიდეო და ლ. ჯ. -მა მის მიმართ საჩივარი წარადგინა პოლიციაში.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას გადასცა მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც ფაქტები არასწორად იყო მითითებული და ითხოვდა მის ხელმოწერას. მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნული იყო, რომ ადვოკატმა მეილის საშუალებით გადასცა კლიენტს საქმის მასალები, რასაც საჩივრის ავტორი არ ეთანხმება და უთითებს, რომ მან ადვოკატისაგან მიიღო სარჩელის მხოლოდ 3 ფურცელი და არა 76. ასევე, მან ადვოკატს გადაუხადა 700 დოლარი გასაწევი მომსახურებისათვის, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, საადვოკატო მომსახურების საზღაურად გათვალისიწნებულია 600 დოლარი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატი ლ. ჯ. დაუკავშირდა მისი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს და უამბო მათ შორის დაპირისპირების შესახებ.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ლ. ჯ. უარს აცხადებდა მისთვის საქმის მასალების დაბრუნებაზე. ადვოკატმა საქმის მასალები მხოლოდ პატრულის ჩარევის შემდეგ დააბრუნა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არაკვალიფიციურად გაუწია მას საადვოკატო მომსახურება, არ შეასრულა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ითხოვს ჰონორარის დაბრუნებასა და ადვოკატის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ჯ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2022 წლის 22 ივლისს, სადაც მიუთითა, რომ მ. ჭ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთბელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 29 ივნისს, ის შეხვდა მ. ჭ. ეს, რომელმაც თავი შეაცოდა და ეხვეწებოდა მისი საქმე აეღო. დაარწმუნა, საკუთარ სიმართლეში და მათ შორის იმავე დღეს მათ შორის გაფორმდა „საადვოკატო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა მ. ჭ.-ს და ი. გ.-ს შორის არსებული ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულების თანახმად მას ევალებოდა საქმის შესწავლა, მომზადება და დამუშავება, რის საფასურადაც განისაზღვრა 500 აშშ. დოლარი. სარჩელის შედგენისათვის განსაზღვრული იყო 100 აშშ. დოლარი, ხოლო სასამართლო პროცესზე წარმომადგენლობისათვის დამატებით 100 აშშ. დოლარი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მ. ჭ.-სთან შეთანხმებით, კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მიმართა გენერალურ პროკურატურას, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარის ქმედებებში იკვეთებოდა სავარაუდო დანაშაულის ნიშნები და კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიის მიხედვით, პროკურატურისათვის მიმართვა მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგე მხარეზე ზემოქმედებას, რომ სასამართლო დავის გარეშე, ნაკლები დანახარჯებით, მორიგებით დასრულებულიყო მათ შორის დავა. ადვოკატის განცხადებით, ის აპირებდა სასამართლოსათვის მიემართა, თუმცა კლიენტის მითითების შესაბამისად ელოდებოდა პროკურატურის პასუხს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საქმის მასალების შესწავლიდან 1 კვირაში - 2022 წლის 7 ივლისისათვის მოამზადა სარჩელი. ადვოკატი განმარტავს, რომ მ. ჭ. აყოვნებდა მტკიცებულებების გადაცემას, რის გამოც ადვოკატი ვერ მიმართავდა სასამართლოს. ადვოკატი განმარტავს, რომ ის ზედმიწევნით ასრულებდა მ. ჭ.-ის მითითებს, კერძოდ, კლიენტის მითითების შესაბამისად შეცვალა სარჩელი და კლიენტს ყველა დოკუმენტს უგზავნიდა ელ. ფოსტის ან აპლიკაცია „whatsapp“-ის მეშვეობით. ადვოკატი განმარტავს, რომ კომუნიკაციის იმავე საშუალებებით უთანხმებდა კლიენტს სამოქმედო სტრატეგიას.

2.6 ადვოკატმა დაადასტურა, რომ კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, მან ნამდვილად ჩაწერა ვიდეო პროკურატურასთან. ადვოკატის განმარტებით, ვიდეოში იდენტიფიცირებადი არ იყო მისი კლიენტი და ვიდეო არ შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს. ადვოკატის განმარტებით, მ. ჭ.-ის მოთხოვნის შესაბამისად, ვიდეო წაშალა სოციალური ქსელიდანაც.

2.7 ადვოკატის განმარტებით მ. ჭ. მას საჯაროდ აყენებდა მძიმე შეურაცხოფას და დაემუქრა, რომ ,,ოჯახიდან კუბოების გატანას ვერ აუვიდოდნენ და ნახავდნენ რაც მოუვიდოდათ". ადვოკატის მითითებით მ. ჭ. და მისი და ემუქრებოდნენ ,,შვილების ამოწყვეტით", რის გამოც მიმართა პოლიციას და აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მ. ჭ.-მ განუმარტა, რომ ჰყავდა ახალი ადვოკატი, რომელმაც გარანტია მისცა საქმის მოგებაზე და შეწყვიტა ლ. ჯ.-სთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა. ადვოკატის განმარტებით, მან სრულად დაუბრუნა მ. ჭ.-ს საქმის მასალები და გამოუმუშავებელი ჰონორარი - 200 დოლარის ოდენობით.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მ. ჭ. მასზე ახორციელებს ზეწოლას მცდარი ინფორმაციისა და უკანონო საჩივრის გზით, რის გამოც უნდა შეწყდეს საქმის განხილვა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ლ. ჯ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 მ. ჭ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 20 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2022 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ლ. ჯ.-მა არ შეასრულა კლიენტის მითითება, კერძოდ, არ მოამზადა სამოქალაქო სარჩელი დროულად და არ მიმართა სასამართლოს, რის გამოც სასამართლო განჩინებით მ. ჭ.-ის უძრავ ქონებაზე გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება. ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის მითითების საწინააღმდეგოდ, კერძოდ, საქმე აწარმოა სისხლის სამართლის მიმართულებით და გამოიჩინა არაკვალიფიციურობა, როდესაც ადვოკატმა მიმართა არაუფლებამოსილ ორგანოს -

პროკურატურას. ადვოკატმა კლიენტთან შეუთანხმებლად გაამჟღავნა მ. ჭ.-ის შესახებ პერსონალური ინფორმაცია და ვიდეო განათავსა სოციალურ ქსელში.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5.ბ. მუხლი: ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლი: „ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა".

5.3 „ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება მათ შორის შეთანხმების საფუძველზე და ურთიერთობის გაგრძელებასაც მუდამ თან უნდა სდევდეს ურთიერთშეთანხმებას, რაც გულისხმობს საადვოკატო მომსახურების გაწევას კლიენტთან შეთანხმებული ფორმით. ადვოკატმა კლიენტის დაცვის სტრატეგია მასთან უნდა შეათანხმოს და მომსახურების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება კლიენტის თანხმობით უნდა განახორციელოს" (ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე N 111/19).

5.4 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.5 ეთიკის კომისიას აქვს მკაცრად დადგენილი პრაქტიკა წარმოების პროცესში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლებზე და მიიჩნია, რომ

მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები:

- ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში;
- ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში;
- ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის;
- ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად.

5.6 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ს აქვს სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია. მასსა და მ. ჭ.-ს შორის 2022 წლის 29 ივნისს გაფორმებული „იურიდიული მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების 3.10 მუხლში მითითებულია: „კლიენტისათვის ცნობილია, რომ აყვანილი ადვოკატი სამოქალაქო სპეციალობისაა და სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობს პარტნიორ ადვოკატთან ერთად.“ ხელშეკრულება ხელმოწერილია ადვოკატ ლ. ჯ.-ის და მ. ჭ.-ის მიერ. ხელშეკრულებით დგინდება, რომ საჩივრის ავტორი ინფორმირებული იყო ადვოკატის სპეციალიზაციაზე და გამოხატავდა თანხმობას, მისი ინტერესები დაეცვა ადვოკატ ლ. ჯ.-ს, რაც დადასტურებულია საჩივრის ავტორის ხელმოწერით.

5.7 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ პროფესიული ქცევის წესების სავარაუდო დარღვევის არსებობის ფაქტის დადგენის შესახებ იმსჯელა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა გამოკვლევის საფუძველზე. საპროცესო კოლეგია მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მომჩივანი მხარის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს ამტკიცოს და დაასაბუთოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა შესახებაც საჩივარში უთითებს. მან უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები ან მიუთითოს კომისიას იმ მტკიცებულებების გამოთხოვაზე, გამოკვლევაზე, რაც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს სადავო ქცევის ჩადენაზე. თავის მხრივ ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი - გააქარწყლოს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები და მოთხოვნები. ეთიკის კომისიას კი აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ არგუმენტების, ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

5.8 ადვოკატმა ლ. ჯ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მ. ჭ.-სთან ელ. ფოსტითა და აპლიკაცია „whatsapp“- ით განხორციელებული მიმოწერა. ელ.ფოსტაზე არსებული კომუნიკაციიდან ირკვევა, რომ მ. ჭ.-ს ადვოკატ ლ. ჯ.-სათვის უნდა გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტები. ელ. ფოსტის მიმოწერით დასტურდება, რომ ადვოკატ ლ. ჯ.-ს სარჩელი მომზადებული ჰქონდა 2022 წლის 07 ივლისს, რაც გადაუგზავნა მ. ჭ.-ს კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, ადვოკატმა ცვლილებები შეიტანა სარჩელში და შეცვლილი სარჩელი 10 ივლისს გაუგზავნა საჩივრის ავტორს და ჰკითხა იწონებდა თუ არა კლიენტი დოკუმენტს. ელ. ფოსტის მიმოწერით

დგინდება, რომ მ. ჭ.-ს ადვოკატ ლ. ჯ.-სათვის მტკიცებულებების ნაწილი (აუდიტის შეფასების დასკვნა ორ უძრავ ქონებაზე) გაგზავნილი აქვს 07 ივლისს, მტკიცებულებების ნაწილი კი გაგზავნილია მანმადე, 03 და 04 ივლისს.

5.9 ადვოკატმა ლ. ჯ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სოციალურ ქსელის „whatsapp"-ის მეშვეობით, 2022 წლის 08 და 09 ივლისს განხორციელებული მიმოწერა, სადაც იკვეთება, რომ საჩივრის ავტორი ფლობდა ინფორმაციას ადვოკატის სტრატეგიაზე და ეთანხმებოდა მას. ადვოკატისათვის საჩივრის ავტორის მიერ 08 ივლისს, 14:00 საათზე გაგზავნილია შემდეგი შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინება: „ლ. როგორც ამიხსნეს პროკურატურაშიც საქმეები დროში იწელება და მინდა პარალელურად სასამართლოსაც მივმართო უკვე". საპასუხოდ ადვოკატისაგან 14:15 წუთზე გაგზავნილია პასუხი: „ადვოკატი მე ვარ და სტრატეგიას მე ვარჩევ. თუ სხვა გყავთ, მაშინ იმან აწარმოოს. ხომ აგიხსენით ცოტა დრო მივცეთ იქნებ სწრაფად დაიდოს შედეგი თუ არა სასმართლოთი ვიდავებთ მაგრამ მაგას დიდი დრო დაჭირდება. არ აგიხსნეს, რომ სამოქალაქო დავები წლები გრძელდება? და სისხლზე რომ შემაქვს სამოქალაქოს რომ შევიტან პროკურატურა მეტყვის სასამართლოთი იდავეო. ცოტა დრო მივცეთ პროკურატურას ხელი შემეშლება სასამართლოში სამოქალაქოთი რომ დავიწყო ახლავე დავა." რის შემდეგაც, ადვოკატი ლ. ჯ. საჩივრის ავტორს უგზავნის მის მიერ ჩაწერილ ვიდეოს. მ. ჭ.-ის მიერ ადვოკატისათვის მიწერილია შეტყობინება: „მადლობა, იმედია შედეგს მოგვიტანს". ამის შემდეგ, 2022 წლის 09 ივლისს, მ. ჭ.-მ ადვოკატ ლ. ჯ.-ს გაუგზავნა შეტყობინება: „ლ. გამარჯობა, გზაში ვიყავი და ვეღარ გიპასუხეთ, მაინტერესებს ახლა რა მოხდება, როდის გამომიძახებენ, თუ როგორ მოხდება ეს პროცედურები პროკურატურაში? მომწერეთ პროკურორის სახელი, გვარი, ტელ. ნომერი." ადვოკატი ლ. ჯ. საჩივრის ავტორს უგზავნის პროკურატურაში წარსადგენ დოკუმენტს და პასუხობს: „ნ. კ. ". მიმოწერით დასტურდება, რომ ადვოკატმა ლ. ჯ.-მა კლიენტს გააცნო სამოქმედო სტრატეგია და კლიენტს წინააღმდეგობა არ გამოუხატავს სისხლის სამართლის მიმართულებით საქმისწარმოებაზე, პირიქით, დაეთანხმა ადვოკატის სტრატეგიას.

5.10 ადვოკატი შეისწავლის საქმეს; კლიენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს სტრატეგიას; ადგენს სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტს და წარადგენს დოკუმენტებს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებში. საქმისწარმოების დასაწყებად, საჭირო მასალებისა და დოკუმენტების მომზადებას გარკვეული დრო სჭირდება. თავის მხრივ, აუცილებელია, კლიენტმა ადვოკატს მიაწოდოს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი და საჭირო ინფორმაცია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატი ლ. ჯ. მ. ჭ.-საგან პერიოდულად იღებდა დოკუმენტებს; კლიენტის მითითების შესაბამისად შეადგინა სარჩელი და ცვლილებები შეიტანა დოკუმენტში; სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტების სრულად მოპოვებამდე/მოწესრიგებამდე, კლიენტთან შეთანხმებით მიმართა პროკურატურას და ჩაწერა ვიდეო. შესაბამისად, დასტურდება, რომ ადვოკატი კლიენტის დასაცავად მიმართავდა ქმედით ღონისძიებებს და ახორციელებდა საპროცესო მოქმედებებს.

5.11 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადვოკატმა ლ. ჯ.-მა მ. ჭ.-ს ინფორმაცია მიაწოდა სპეციალიზაციაზე; კლიენტს შეუთანხმა სამოქმედო სტრატეგია; კლიენტის ინტერესების დასაცავად განახორციელა არაერთი საპროცესო მოქმედება და კლიენტს მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე, რაც გამორიცხავს ადვოკატის მიერ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას. საპროცესო კოლეგია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გადაწყვეტილების 5.4 და 5.5 პუნქტებში მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატ ლ. ჯ.-ის პროფესიულ ცოდნასა და კვალიფიკაციას და ვერ განუსაზღვრავს მას რა საპროცესო მოქმედებებისა და ტაქტიკის შერჩევა იქნებოდა კლიენტის ინტერესების დასაცავად უმჯობესი. ამასთან დასტურდება, რომ ადვოკატი ლ. ჯ. მოქმედებდა კლიენტის მითითებების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით. ადვოკატი სასამართლოში წარსადგენად ამზადებდა სარჩელს და კლიენტისაგან ელოდებოდა მტკიცებულებების მიწოდებასა და სარჩელის საბოლოო ვერსიაზე თანხმობას. ადვოკატმა პროკურატურაში განცხადება წარადგინა კლიენტთან შეთანხმებით, კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დროის ეფექტიანად გამოყენების მიზნით და მოწინააღმდეგე მხარეზე ზეგავლენის მოსახდენად, რაც ემსახურებოდა სასამართლოს გარეშე დავის გადაწყვეტას. მხარეთა შორის არსებული მიმოწერით დასტურდება, რომ ადვოკატმა კლიენტის თანხმობით ჩაწერა ვიდეო, თუმცა მოგვიანებით ვიდეო წაშალა სოციალური ქსელიდან. ადვოკატის განცხადებით, ვიდეო წაშალა საჩივრის ავტორის ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა ვიდეოში იდენტიფიცირებადი არ იყო მ. ჭ. ეთიკის კომისიისათვის უცნობია ვიდეოს შინაარსი, თუმცა ფაქტია, რომ მ. ჭ. დაეთანხმა ადვოკატს ვიდეოს ჩაწერაზე.

5.12 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ბ. მუხლითა და ეთიკის კოდექსის 8.2 და 8.5 მუხლებით დადგენილი ქცევის სტანდარტები.

5.13 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი და იმსჯელა ადვოკატ ლ. ჯ.-ის მიერ შემდეგი ნორმის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი: „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

5.14 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე N037/14/ დაადგინა: ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“

5.15 მ. ჭ.-სა და ადვოკატ ლ. ჯ.-ს შორის 2022 წლის 29 ივნისს გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატის ჰონორარი შემდეგნაირად განისაზღვრა: საქმის მომზადება, შესწავლა, დამუშავება - 500 აშშ. დოლარი, სარჩელის მომზადება - 100 აშშ. დოლარი; სასამართლოში წარმომადგენლობა -100 აშშ დოლარი. სულ, მომსახურების საფასური შეადგენდა 700 აშშ. დოლარის ექვივალენტ თანხას ლარში. მხარეებს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა 2022 წლის 14 ივლისს, კლიენტის გადაწყვეტილების საფუძველზე. ადვოკატმა ლ. ჯ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ელ. ფოსტის მიმოწერა, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატმა მ. ჭ. ეს 2022 წლის 15 ივლისს კიდევ ერთხელ გაუგზავნა მის მიერ შექმნილი სარჩელის ელ. ვერსია და სთხოვა საბანკო ანგარიში. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა 2022 წლის 18 ივლისის თანხის ჩარიცხვის ქვითარი, რაც ადასტურებს, რომ ადვოკატმა ლ. ჯ.-მა მ. ჭ.-ს დაუბრუნა 200 აშშ დოლარი.

5.16 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი წარმოადგენს თავისუფალი პროფესიის პირს, რომელიც თავად განსაზღვრავს საკუთარი სამართლებრივი მომსახურების საფასურს და იმ შემთხვევაში თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა ადვოკატის მიერ ვალდებულებათა სრულად შესრულებამდე, თუნდაც კლიენტის ინიციატივით, უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს გამოუმუშავებელი ჰონორარის ოდენობა და დაუბრუნოს ის კლიენტს. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადვოკატმა ლ. ჯ.-მა მ. ჭ.-სთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, კლიენტს დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი. შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან დაცულია პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით დადგენილი სტანდარტი.

5.17 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N060/22 ადვოკატ ლ. ჯ.-ის /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/